დამტკიცებულია:

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის

დირექტორის 2025 წლის 10 იანვრის N 6 ბრძანებით

ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესი

თბილისი

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების პროცედურებს, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფტავების განხორციელება

2.1. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფასა და დასუფთავებას ახორციელებს აკადემიის დამხმარე პერსონალი - დიასახლისი.

2.2. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების პროცესს აკონტროლებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკადემიის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მენეჯერი და ფინანსური დაა მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი.

მუხლი 3. სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების პერიოდულობა

3.1. მიმდინარეობს:

3.1.1. ყოველდღიური აუცილებელი/კომპლექსური დასუფთავება;

3.1.2. გენერალური დასუფთავება (თვეში ერთხელ სადიზენფექციო საშუალებებით).

3.2. თვეში ერთხელ ტარდება შენობის გენერალური დასუფთავება სარეცხი საშუალებებით და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით. აუცილებლობის მიხედვით, ტარდება სათავსოების დეზინფექცია.

3.3. დერატიზაციის საჭიროების შემთხვევაში აკადემიის დირექტორი აფორმებს ხელშეკრულებას შესაბამის დაწესებულებასთან.

მუხლი 4. შენობის სივრცის დალაგება და დასუფთავების პროცედურები

4.1. შენობის შიდა და გარე მიმდებარე სივრცის: აუდიტორიების, სასწავლო გარემოს, სანიტარული წერტილების, კიბის უჯრედის, მიმდებარე ტერიტორიის, ინვენტარის, და ა.შ. დასუფთავება ხორციელდება დროულად და საჭიროებისამებრ, სველი წესით, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით;

4.2. სველი წერტილების შემადგენლობის ყველა ჯიხური და მთლიანად კომპლექტაცია ირეცხება სარეცხი-სადეზინფექციო საშუალებებით;

4.3. სრული დეზინფექცია ბტარდება თვეში ერთხელ;

4.4. მოწყობილია მოხერხებული საბანები, სადაც განთავსებულია საპონი და ხელსამშრალები;

4.5. ხდება წყლის სისტემის, წყალჩამრეცხი/კანალიზაციის სისტემის სეუფერხებელი მუშაობის კონტროლი ფინანსურიდა მატერიალური რესურსების მენეჯერის მიერ;

4.6. ყოველი სამუშაო დღის შემდეგ აკადემიაში ხდება დიასახლისის მიერ საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება;

4.7. სამუშაო დღის ბოლოს, დალაგების დამთავრებისთანავე გამოყენებული ინვენტარი ირეცხება სარეცხი, სადეზინფექციო საშუალებებით და მშრალ მდგომარეობაში თავსდება სუფთად, მისთვის გამოყოფილ ადგილას;

4.8. სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები გამოიყენება თანმხლები ინსტრუქციების მკაცრი დაცვით და თავსდება მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;

4.9. დიასახლისის მიერ ყოველდღე ხდება ცალკე, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების, ნარჩენებისგან/ნაგვისგან დახურული ურნების დაცლა და დამუშავება;

4.10. დახურულ კონტეინერებში, ჩაფენილია ერთჯერადი პოლიეთილენის პაკეტი. პოლიეთილენის პაკეტის 2/3 გავსების შემთხვევაში გერმეტულად შეკრულ მდგომარეობაში ხდება აკადემიის სივრციდან გატანა და მუნიციპალურ ურნებში მოთავსება, რაზედაც მეთვალყურეობას ანხორციელებს მატერიალური რესურსების მენეჯერი;

4.11. ცალკე კონტეინერში/ურნაში თავსდება სასწავლო მიზნით გამოყენებული მასალა, რომელზეც მეცადინეობის დროს სანაგვე ურნაში/კონტეინერში მოთავსებაზე მეთვალყურეობას ახორციელებს პროფესიული მასწავლებელი;

4.12. ნარჩენების დაყრა დაუშვებელია როგორც აკადემიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აკადემიის შენობაში არსებული ნარჩენების ურნების ყოველდღიურ დასუფთავებაზე და დამუშავებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ აკადემიის დიასახლისს;

4.13. სარემონტო და სარეკუნსტრუქციო სამუშაოებისას წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები დროულად უნდა იქნეს გატანილი აკადემიის ტერიტორიიდან;

4.14. საჭიროების მიხედვით ხდება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პერსონალის ინფორმირება, ინსტრუქტაჟი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით.

მუხლი 5.1. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.